სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 **თებერვალი, 2025 წელი**

ბრძანება №01-02/29

2024-2025 სასწავლო წლის **გაზაფხულის** სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის **(ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების", ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის", ,,ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილების (ცვლილება აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N06-01/128 დადგენლებით) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **2024-2025** სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრისათვის** (დაწყება - 2025 წლის 10 მარტი) განისაზღვროს ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა **ადმინისტრაციული რეგისტრაციის** (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის) **შემდეგი ვადები:**

ა) I ეტაპზე - 2025 წლის **24 მარტის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **40%;**

ბ) II ეტაპზე – 2025 წლის **5 მაისის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%;**

გ) III ეტაპზე – 2025 წლის **20 ივნისის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%.**

2. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს ბსუ-ს პორტალის მეშვეობით.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,აკადემიური კალენდარი" და ,,რექტორის აქტები"), ასევე ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს სოციალურ ქსელში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაშს), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს (მათ შორის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს),

სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და ფაკულტეტებს.

5. გრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
6. გრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**